ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 10-23

"16" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, ასევე, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი", ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-138 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის პირობებს და პროცედურებს.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის (შემდგომში – ქვეპროგრამა) მიზანია კომპენსაციის მიმღები პირისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი პირობების შექმნა, საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის გაცემის გზით.

3. ქვეპროგრამის დაფინანსებისთვის საჭირო თანხები გამოიყოფა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

4. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ დაფინანსებებზე, რომელზედაც თანხები გამოიყოფა თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამაში „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გადატანილი თანხების ფარგლებში.

მუხლი 2. კომპენსაციის მიმღები პირები

1. ქვეპროგრამის ფარგლებში კომპენსაციის მიღების უფლება აქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დანგრეული ან სხვადახვა გარემოების შედეგად საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლი (შემდგომში - ამორტიზებული ფართი), თუ პირი ამ საცხოვრებელ სადგომში ცხოვრობდა უშუალოდ მის ამორტიზებამდე, მას და მისი ოჯახის წევრს არ გააჩნია სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი საკუთრებაში, ამასთან მოცემული მომენტისათვის არ აქვს დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის ქირის გადახდის საშუალება და განცხადების წარდგენის მომენტამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული მისამართი ჰქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. დროებით საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია (შემდეგში – კომპენსაცია) გაიცემა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის აუცილებელი საცხოვრებელი ფართით დროებით სარგებლობისათვის საჭირო ქირის ან ქირის ნაწილის დაფარვის მიზნით.

3. დაუშვებელია ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით სხვა სახის ღონისძიებების დაფინანსება.

მუხლი 3. ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანო

1. ქვეპროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის შესაბამისი გამგეობა (შემდგომში – გამგეობა).

2. ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისგამგეობაში გამგებლის ბრძანებით იქმნება საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო – საბჭო (შემდგომში – საბჭო), რომელიც განიხილავს კომპენსაციის მიღების თაობაზე გამგეობაში შემოსულ განცხადებებს, შეისწავლის შესაბამის დოკუმენტაციას, ადგენს ამ წესის დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმის შემოწმების ოქმს, აგრეთვე ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

3. გამგებელის ბრძანებით განისაზღვრება საბჭოს ხელმძღვანელი, რომელიც უნდა იყოს სფეროს კურატორი გამგებლის მოადგილე.

მუხლი 4. განცხადების წარდგენა

1. კომპენსაციის მისაღებად დაინტერესებული პირი ამ წესის დანართი 1-ით განსაზღვრული ფორმით განცხადებით მიმართავს:

ა) ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ გამგეობას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს/მდებარეობდა მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული დანგრეული ან ამორტიზებული ფართი;

ბ) ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ რაიონის გამგეობას, რომლის ტერიტორიაზე არის დაინტერესებული პირი რეგისტრირებული, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირი რეგისტრირებულია მისამართის გარეშე - რომლის ტერიტორიაზეც პირი იმყოფება/თავს აფარებს ფაქტობრივად;

2. განმცხადებელი განცხადებაში ადასტურებს, რომ მას და მისი ოჯახის წევრებს სხვა საცხოვრებელად ვარგისი ფართი არ გააჩნია. განმცხადებელმა ასევე უნდა დაასაბუთოს მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობა.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლისა და მისი ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები (ოჯახის არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში – დაბადების მოწმობის ასლი);

ბ) ამორტიზებული ფართის საკუთრების/მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ამონაწერი საბინაო წიგნიდან, ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან/ბიუროს ცნობა-დახასიათება, კომუნალური გადასახადების ქვითრები, კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.), მესაკუთრის ან მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე მემკვიდრეობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, საკუთრების დაკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტი);

გ) ნოტარიულად (სავალდებულოა მხოლოდ ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება) ან სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება. ამასთან, ქირავნობის ხელშეკრულება არ უნდა იყოს გაფორმებული განმცხადებლის ოჯახის წევრთან (დედა, მამა, შვილი, და-ძმა და ა.შ.);

დ) გამქირავებლის ან/და განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

ე) ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან, რომ განმცხადებელს და მისი ოჯახის წევრებს არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი;

ვ) შესაბამის ფართში განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტები, კომუნალური გადახდის ქვითრები, მეზობლების მიერ ხელმოწერილი განცხადება ფართში ცხოვრების დადასტურების შესახებ;

ზ) განმცხადებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (სხვადასხვა სახის დასკვნები, ცნობები და ა.შ.)

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე და კანონიერებაზე პასუხისმგებელია დოკუმენტის წარმომდგენი.

მუხლი 5. განცხადების განხილვა

1. გამგეობა ვალდებულია განახორციელოს თითოეული განცხადების განხილვა და საქმის გარემოებების გამოკვლევასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტაციის, ნებისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირება და აღრიცხვა.

2. საბჭო ვალდებულია შეამოწმოს ამორტიზებული ფართის მდგომარეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დროებითი საცხოვრებელი ფართის მდგომარეობა, გადაამოწმოს განცხადებაში მითითებული ოჯახის წევრების რაოდენობა, მოახდინოს დაქირავებული ფართის მდგომარეობისა და განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის აღწერა/დაფიქსირება (ფოტოგადაღება და სხვა). საბჭოს, საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია სხვა ღონისძიებების განხორციელება. შემოწმების შედეგები აისახება შემოწმების ოქმში.

3. დოკუმენტაციის განხილვის პროცესში მოწმდება განცხადებაში მითითებული გარემოებების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შემოწმების შედეგების წინამდებარე წესის მოთხოვნებთან და ქვეპროგრამის მიზნებთან შესაბამისობა.

4. საკითხის შესწავლის შემდეგ საბჭოს ხელმძღვანელი გამგებლის სახელზე ადგენს მოხსენებით ბარათს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესწავლისა და შემოწმების შედეგები.

5. გამგებელი მოხსნებითი ბარათისა და საქმის მასალების გათვალისწინებით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კომპენსაციის გაცემის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ განმცხადებლის მიერ არაზუსტი ინფორმაციის ან მონაცემების წარმოდგენის გამოვლენა წარმოადგენს კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს და განმცხადებელი ვალდებულია უკან დააბრუნოს მის მიერ ამ გარემოებების გამოვლენამდე მიღებული კომპენსაციის ოდენობის თანხა.

მუხლი 6. კომპენსაციის ოდენობა და გაცემის წესი

1. კომპენსაცია გაიცემა არაუმეტეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

2. ახალი საბიუჯეტო წლის დადგომამდე შესაბამისი რაიონის გამგეობა წინა წლის კომპენსაციის მიმღებთა სიას ამოწმებს საბჭოს მეშვეობით ამ წესით დადგენილი წესითა და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სიის კორექტირებას და ახალი სიის მომდევნო წლისათვის დამტკიცებას.

3. კომპენსაციის გაცემა ერთ განმცხადებელზე შესაძლებელია განხორციელდეს იმ პრობლემის აღმოფხვრამდე რაც საფუძვლად დაედო კომპენსაციის გაცემას, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

4. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში გამგეობა უფლებამოსილია 300 ლარის ფარგლებში თავად, ხოლო 300 ლარზე მეტის შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით ყოველთვიურად (ყოველ დაზარალებულ ოჯახზე) გასცეს კომპენსაცია.

5. დაუშვებელია ამორტიზებულ ფართში მცხოვრები ოჯახების დაყოფა და ცალ-ცალკე ფართის დაქირავება კომპენსაციის დადგენილზე მეტი ოდენობით მიღების მიზნით.

6. დროებით საცხოვრებელი ადგილის ან/და ქირის ოდენობის შეცვლის შემთხვევაში, კომპენსაციის მიმღები პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება და ახალი ნოტარიულად დამოწმებული ქირავნობის ხელშეკრულება(სავალდებულოა მხოლოდ ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება).

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი წარედგინება საბჭოს, რომელიც შემოწმების გზით ადგილზე ამოწმებს დამქირავებლის მიერ შესაბამის მისამართზე ცხოვრებისა და აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებობის ფაქტს, რაზეც დგება შემოწმების ოქმი. საბჭოს ხელმძღვანელი გამგებლის სახელზე ადგენს მოხსენებით ბარათს (მოხსენებით ბარათს ხელს აწერს საბჭოს ყველა წევრი), რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესწავლისა და შემოწმების შედეგები, ხოლო შესაბამისი გამგებელი მოხსნებითი ბარათისა და საქმის მასალების გათვალისწინებით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კომპენსაციის გაცემის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 7. კომპენსაციის გაცემა

1. კონპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. კომპენსაციის გაცემა (თანხის ჩარიცხვა) ხდება გამქირავებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში – განმცხადებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე.

3. დაუშვებელია ერთზე მეტი თვის კომპენსაციის თანხის ერთდროულად გაცემა.

4. კომპენსაციის გაცემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა ევალება გამგეობის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ვალდებულია:

ა) სრული სიზუსტით აწარმოოს კომპენსაციის გაცემის აღრიცხვა;

ბ) დაიცვას კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით შედგენილი და მიღებული დოკუმენტაცია (საგადასახადო მოთხოვნები და სხვა).

მუხლი 8. შემოწმების განხორციელება

1. ამ წესის მოთხოვნათა დაცვის, ქვეპროგრამის ეფექტურად წარმართვის, ფინანსური რესურსების მიზნობრივად ხარჯვისა და ქვეპროგრამის მიზნების ეფექტიანად მიღწევის უზრუნველსაყოფად, საბჭო ვალდებულია, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ, შეამოწმოს ის გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას.

2. საბჭოს მიერ უნდა შემოწმდეს:

ა) ამორტიზებული ფართის მდომარეობა ადგილზე დათვალიერებით;

ბ) განმცხადებლის ცხოვრების ფაქტი წარმოდგენილი ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართზე;

გ) ერთ ოჯახად მცხოვრები ოჯახის წევრების რაოდენობა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

3. საჭიროების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია შეამოწმოს სხვა გარემოებების არსებობაც.

4. თითოეული განხორციელებული შემოწმების საფუძველზე საბჭოს წევრი ადგენს ამ წესის დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმის შემოწმების ოქმს.

მუხლი 9. კომპენსაციის გაცემის განსაკუთრებული წესი

1. განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამგებელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესით დადგენილისაგან განსხვავებული პირობებით და წესით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ან საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირებისათვის, აგრეთვე სტიქიური უბედურების (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი და სხვა) შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის გაცემის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას 300 ლარის ფარგლებში იღებს გამგებელი, ხოლო 300 ლარზე მეტის შემთხვევაში კომპენსაცია გაიცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, კომპენსაციის მისაღებად დაინტერესებულ პირს შესაძლოა მოეთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 10. კომპენსაციის შეწყვეტა

1. კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველია:

ა) კომპენსაციის მიმღები პირის განცხადების წარდგენა, რომლითაც იგი უარს აცხადებს კომპენსაციის მიღებაზე;

ბ) თუ გამოვლინდა, რომ განმცხადებლის მიერ კომპენსაციის მისაღებად წარმოდგენილი იყო არაზუსტი ინფორმაცია ან მონაცემი;

გ) შემოწმების ან სხვა გზით გამოვლინდა, რომ აღარ არსებობს ის გარემოებები, რის საფუძველზეც პირზე გაიცემოდა კომპენსაცია;

დ) გამოვლინდა, რომ კომპენსაციის მიმღები პირი აღარ ცხოვრობს იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია მის მიერ წარმოდგენილ ქირავნობის ხელშეკრულებაში;

ე) გავიდა კომპენსაციის გაცემის ვადა;

ვ) განმცხადებლის გარდაცვალება;

ზ) სხვა მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ქვეპროგრამის და ამ წესის მიზნებიდან გამომდინარე ამართლებს კომპენსაციის გაცემის შეწყვეტას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით აღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საბჭოს ხელმძღვანელი გამგებლის სახელზე ადგენს მოხსენებით ბარათს და გამგებელი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კომპენსაციის შეწყვეტის შემთხვევაში, თუ განმცხადებელი წარმოადგენს ახალ საცხოვრებელ მისამართზე ქირავნობის ხელშეკრულებას და შესაბამის დოკუმენტაციას, შესაბამისი გარემოებების გადამოწმების შედეგად გამგებელი ამ წესის შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კომპენსაციის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. პირებს, რომლებსაც 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია და აკმაყოფილებენ ამ წესის მოთხოვნებს, 2018 წლის იანვარში დამტკიცებული სიის მიხედვით, გაუგრძელდეთ კომპენსაციის გაცემა.

2. პირებისათვის, რომლებიც ამ წესის ამოქმედებამდე იღებდნენ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციას, ამ წესის ამოქმედების შემდეგ კომპენსაციის გაცემის ვადა გაუგრძელდეთ 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

3. პირებს რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია, 2018 წლის იანვარში დამტკიცებული სიის მიხედვით, შეიძლება გაუგრძელდეთ კომპენსაციის გაცემა, არაუმეტეს 2018 წლის 31 დეკემბრისა.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს უწყდებათ კომპენსაცია ამ წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლების წარმოშობის შემთხვევაში.

დანართი N1

---------- რაიონის გამგეობას

განმცხადებელი ----------

მისამართი ----------

ტელ. ----------

განცხადება

(დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის მისაღებად)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი ---------- განცხადება და თანდართული

(სახელი, გვარი)

დოკუმენტაცია და გასცეთ კომპენსაცია.

1. მიუთითეთ და დაასაბუთეთ მოთხოვნილი კომპენსაცია (ციფრობრივად და სიტყვიერად) ----------
---
---

2. მიუთითეთ დანგრეული/ამორტიზებულისაცხოვრებელი ფართის სრული მისამართი

---

3. აღწერეთ, რა საფუძვლით გახდა თქვენი საცხოვრებელი ფართი საცხოვრებლად გამოუსადეგარი/ან მიუთითეთ საცხოვრებელ ფართზე საკუთრების დაკარგვის საფუძველი

---

4. ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების რაოდენობა ----------

სახელი, გვარი	ნათესაური კავშირი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი	საცხოვრებელი ადგილი	საკონტაქტო ტელეფონი

5. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები (მონიშნეთ):

განმცხადებლისა და მისი ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები (ოჯახის არასრულწლოვანი წევრის შემთხვევაში - დაბადების მოწმობის ასლი) (მიუთითეთ დეტალურად) ----------
---

ამორტიზებული ფართის საკუთრების/მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები (მიუთითეთ დეტალურად) ----------
---

შესაბამის ფართში განმცხადებლის და მისი ოჯახის წევრების ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტები (მიუთითეთ დეტალურად) ----------
---

ნოტარიულად დამოწმებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება;

განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტი ----------

ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან, რომ განმცხადებელს ან მისი ოჯახის წევრებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი;

განმცხადებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები (სხვადასხვა სახის დასკვნები, ცნობები და ა.შ.) (მიუთითეთ დეტალურად) ----------
---

აღნიშნული განცხადებით ვადასტურებ, რომ მე და განცხადებაში მითითებულ ჩემს ოჯახის წევრებს ქალაქ თბილისში სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი არ გაგვაჩნია.

ვაცხადებ თანხმობას, რომ გამგეობას უფლება აქვს განცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოითხოვოს შესაბამისი პერსონალური მონაცემები.

შენიშვნა: წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტების სისწორეზე და ნამდვილობაზე პასუხს აგებს განმცხადებელი. განმცხადებლის მიერ არაზუსტი ინფორმაციის ან მონაცემების წარმოდგენის გამოვლენა წარმოადგენს კომპენსაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს და განმცხადებელი ვალდებულია უკან დააბრუნოს მის მიერ ამ გარემოებების გამოვლენამდე მიღებული კომპენსაციის ოდენობის თანხა.

განმცხადებელი ----------

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

(თარიღი)

დანართი N2

შემოწმების ოქმი N---

--- ---

(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი)

(შემოწმების საფუძველი)

(შემოწმების მიზანი)

(შემოწმების ადგილი)

შემოწმების განმახორციელებელი პირები (სახელი, გვარი, თანამდებობა):

შემოწმების შედეგები:

1. საცხოვრებელი ფართის დახასიათება (ფართობი, ოთახების რაოდენობა, მდგომარეობა და სხვა) ---
---

---

2. ოჯახის წევრების რაოდენობა (მათ შორის, ადგილზე შემოწმებისას რამდენი იყო) ------
---

---

3. განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: ----------
---

---

4. შემოწმებისას განხორციელებული მოქმედებები (ფოტოგადაღება და სხვა) ----------
---
---

5. შემოწმებისას გამოვლენილი სხვა გარემოებები და სხვა შენიშვნები ----------
---

---

6. ოქმის დანართი: ----------

შემოწმების განმახორციელებელი პირების ხემოწერები:

განმცხადებლის ან შემოწმებაზე დამსწრე ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრის ხელმოწერა

(სახელი, გვარი)

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტი) მიღების მიზეზი და მისი ძირითადი დამახასითებელი ნიშნები:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-138 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი),რომელიც განსაზღვრავს ბინის ქირის კომპენსაციის გაცემის პირობებს და პროცედურებს.

განკარგულების პროექტით წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების ახალი წესი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ცვლილებს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაციის მისაღებად დაინტერესებულის პირი ამ წესის დანართი 1-ით განსაზღვრული ფორმით განცხადებით მიმართავს ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ რაიონის გამგეობას, რომლის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მისამართიც განსაზღვრულია დაინტერესებული პირის რეგისტრაციის მისამართად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირი რეგისტრირებულია მისამართის გარეშე - რომლის ტერიტორიაზეც პირი იმყოფება/თავს აფარებს ფაქტობრივად.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიზანია მკაფიოდ განისაზღვროს მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით რა კრიტერიუმით მიმართავს დაინტერესებული პირი გამგეობას. თუ პირს მძიმე სოციალური-ეკონომუკური პირობების გამო არ გააჩნია საცხოვრებელი უნდა მიმართოს იმ რაიონის გამგეობას, რომლის ტერიტორიაზეც არის რეგისტრირებული და არსებული ჩანაწერი უძრავი ქონების მისამართის მითითების თაობაზე არ არის აუცილებელი, რათა არ იქნეს ბუნდოვნად განმარტებული. ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გამო თუ დაინტერესებულ პირს დაკარგული აქვს საცხოვრებელი ფართი ასეთ შემთხვევაშიც, როგორც უსახლკარო მიმართოს იმ რაიონის გამგეობას, სადაც არის რეგისტრირებული. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად

პირდაპირ განისაზღვრება წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში რომელი რაიონის გამგეობას მიმართოს დაინტერესებულმა პირმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-138 დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „განმცხადებელი განცხადებაში ადასტურებს, რომ მას და მისი ოჯახს წევრებს სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არ გააჩნია. განმცხადებელმა ასევე უნდა დაასაბუთოს მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობა."

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიზანია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამობაში მოყვანა მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კომპენსაციის მიმღები პირების განსაზღვრების წესთან. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად მე-4 მუხლის მე-2 პუნქტიდან „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში" ფრაზის ამოღებით დაზუსტდება, რომ დაინტერესებულ პირს არა მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, არამედ საქართველოს მაშტაბით არ უნდა გააჩნდეს საცხოვრისად ვარგისი ფართი. აღსანიშნავია, რომ წესის მე-2 მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრულია კომპენსაციის მიღების უფლება რა შემთხვევაში აქვს პირს, ერთ-ერთ კრიტერიუმად განსაზღვრულია, რომ მას და მის ოჯახის წევრს სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი არ უნდა გააჩნდეს საკუთრებაში. ვინაიდან წესის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში არ არის მითითება მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში საკუთრების არქონის თაობაზე წარმოდგენილი ცვლილება ასევე გამოიწვევს ზემოხსენებული მუხლების შესაბამისობაში მოყვანას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-138 დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კომპენსაციის გაცემა ერთ განმცხადებელზე შესაძლებელია განხორციელდეს იმ პრობლემის აღმოფხვრამდე რაც საფუძვლად დაედო კომპენსაციის გაცემას, მაგრამ არაუმეტეს 24 თვისა.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიზანია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილების შესაბამისად ქირის საკომპენსაციო თანხების გაცემის ვადა განისაზღვროს 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე. ამასთან დაფინანსების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცემა საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-138 დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის გარდამავალი დებულებების თანახმად; 1. პირებს, რომლებსაც 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია და აკმაყოფილებენ ამ წესის მოთხოვნებს, 2016 წლის დეკემბერში დამტკიცებული სიის მიხედვით გაუგრძელდეთ კომპენსაციის გაცემა. 2. პირებისათვის, რომლებიც ამ წესის ამოქმედებამდე იღებდნენ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციას, ამ წესის ამოქმედების შემდეგ კომპენსაციის გაცემისას, ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 24-

თვიანი ვადის ათვლა დაიწყება თავიდან. 3. პირებს რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია, დამტკიცებული სიის მიხედვით შეიძლება გაუგრძელდეთ კომპენსაციის გაცემა, არაუმეტეს 2017 წლის 31 დეკემბრისა.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიზანია პირებს, რომლებსაც 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით (მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე) უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია დამტკიცებული სიის მიხედვით გაუგრძელდეთ კომპენსაციის გაცემა 2018 წელსაც. პირებს, რომლებიც ამ წესის ამოქმედებამდე იღებდნენ საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციას, ამ წესის ამოქმედების შემდეგ კომპენსაციის გაცემისას ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა გაუგრძელდეთ 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

ვინაიდან აღნიშნული ვადა 2017 წლის ბოლოს იწურება კომპენსაციის მიმღებ ოჯახებს როგორც დანგრეული, ამორტიზირებული სახლების მაცხოვრებლებს, ასევე მძიმე სოციალური ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე კომპენსაციის მიმღებ პირებს მდგომარეობა არ გამოსწორებიათ გაუგრძელდებათ ბინის ქირის კომპენსაციის მიღება. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად გამგეობებს მიეცემათ უფლება 2018 წლისთვის დაამტკიცონ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის მიმღებ პირთა სია და ვადა გაუგრძელდებათ 2018 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს მოქმედი წესის ძალადაკარგულად გამოცხადებას და ახალი წესის დამტკიცებას.

ბ). პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ). პროექტის ავტორი :

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ). პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.